n 54/710

აქტუალური შეკითხვები

რომელი სერვისების მიღება შემიძლია მოქალაქის პორტალის გამოყენებით?

MY.GOV.GE-ს მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ სახელმწიფო სექტორის არაერთი ელექტრონული მომსახურებით: დაარეგისტრიროთ ბიზნესი, გადაიხადოთ ჯარიმები, საბიუჯეტო დავალიანება ან სულაც კომუნალური გადასახადები. არ არის სავალდებულო გქონდეთ ინფორმაცია სერვისის მომწოდებელი ამა თუ იმ უწყების ან ორგანიზაციის შესახებ. საკმარისია, იცოდეთ თუ რომელი კატეგორიის მომსახურების მიღება გსურთ. მაგალითად, თქვენ უნდა შეუკვეთოთ ბავშვის დაბადების განმეორებითი მოწმობა, ამ მომსახურებას ადვილად მიაკვლევთ პიროვნებასთან დაკავშირებულ კატეგორიაში, ან გსურთ დაარეგისტრიროთ ბიზნესი, მაშინ თქვენ ირჩევთ ბიზნესთან დაკავშირებულ კატეგორიას. თემატურად დაჯგუფებული სერვისების მოძიება ძალიან მარტივია. სიახლეა ისიც, რომ მოქალაქის პორტალიდან ასევე შესაძლებელია სახელმწიფო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის ელექტრინულად გამოთხოვა. გსურთ რომელიმე სახელმწიფო უწყებიდან კონკრეტული საჯარო ინფორმაცია მიიღოთ ან გაქვთ რაიმე შეკითხვა ამ უწყების წარმომადგენლებთან? მაშინ თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ საჯარო უწყებებთან ელექტორნული კომუნიკაციის სერვისით და სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად დაუკავშირდეთ მათ – გამოითხოვოთ ინფორმაცია, გაუგზავნოთ წერილი და მიიღოთ პასუხი. დღეისათვის მოქალაქის პორტალზე ხელმისაწვდომია 60-მდე ელექტორნული სერვისი, რომელთა რაოდენობაც ყოველდღიურად იზრდება.

რამდენად დაცულია ჩემი პირადი ინფორმაცია პორტალით სარგებლობის დროს?

მომხმარებლის უსაფრთხოება ჩვენი პრიორიტეტია. MY.GOV.GE-ს პლატფორმა აგებულია მსოფლიოს ინფორმაციული ტექნოლოგიების უკანასკნელ მიღწევებზე, რაც მომხმარებლის ინფორმაციის დაცულობის სრულ გარანტიას იძლევა.

სად შემიძლია ავიღო ახალი პირადობის მოწმობა და ბარათის წამკითხველი მოწყობილობა?

ახალი პირადობის მოწმობისა და ბარათის წამკითხველი მოწყობილობის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლებში.

საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
მოქალაქეთა გაცვლის
სააგენტო

დაგვიკავშირდით:
2251528 8888
info@my.gov.ge

ეროვნული
ბიბლიოთეკა

my.gov.ge



მოქალაქის პორტალი

MY.GOV.GE

რას წარმოადგენს მოქალაქის პორტალი MY.GOV.GE?

მოქალაქის პორტალი MY.GOV.GE წარმოადგენს ონლაინ რესურსს, რომელშიც თავმოყრილია სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ელექტრონული სერვისები.

რა უპირატესობა აქვს მოქალაქის პორტალს MY.GOV.GE?

მოქალაქის პორტალი საშუალებას გაძლევთ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან, სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად, ახალი პირადობის მოწმობით და/ან თქვენს მიერ დარეგისტრირებული სახელისა და საიდუმლო სიტყვის მეშვეობით დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში, რამდენიმე მარტივი კომბინაციის განხორციელებით ისარგებლოთ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურების ელექტრონული სერვისებით და მნიშვნელოვნად დაზოგოთ თქვენი როგორც დროითი, ისე ფინანსური რესურსები.

პორტალზე შესვლა და მომხმარებლის იდენტიფიცირება

პორტალზე შესასვლელად 2 გზა არსებობს:

1. ახალი პირადობის მოწმობა, ბარათის წამკითხველი მოწყობილობა და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი; ახალი პირადობის მოწმობით სარგებლობის შემთხვევაში, სისტემაში შესვლამდე, პროგრამა მოგთხოვთ უნიკალური 4 ციფრისგან შემდგარი კოდის შეყვანას, რომელიც ახალი პირადობის მოწმობის მიღებისას დალუქული კონვერტით გადმოგეცათ.

2. საიტზე რეგისტრაცია თქვენთვის სასურველი სახელის და პაროლის მითითებით (იგივე პრინციპით, როგორც არეგისტრირებთ ელ. ფოსტას). სახელისა და საიდუმლო სიტყვის მეშვეობით თავდაპირველი რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია ქვეყნის მასშტაბით მოქმედ იუსტიციის სახლებში.

მომხმარებლის პირადი გვერდი

მომხმარებლის პირადი გვერდი წარმოადგენს სივრცეს, სადაც მოცემულია პიროვნებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია და სერვისების ჩამონათვალი.

პორტალზე განთავსებული სერვისები გაერთიანებულია შემდეგ კატეგორიებში: პირადი ინფორმაცია, ოჯახი, ჯანმრთელობა, სოციალური მომსახურება, ქონება, ბიზნესი, გადასახადები, ჯარიმები, განათლება, კომუნალური გადასახადები.

როგორ შევიდე ჩემს პერსონალურ გვერდზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტალზე შესვლა ხორციელდება როგორც ახალი პირადობის მოწმობის მეშვეობით, ისე თქვენს მიერ დარეგისტრირებული სახელისა და პაროლის გამოყენებით. ახალი პირადობის მოწმობით შესვლისას თქვენ დაგჭირდებათ წამკითხველი მოწყობილობა (ე.წ. „ქარდ რიდერი") და ახალი პირადობის მოწმობის 4 ციფრიანი პინკოდი, რომელიც ახალი პირადობის მოწმობის აღებისას დალუქულ კონვერტში გადმოგეცემათ.

ბარათის წამკითხველის კომპიუტერთან დაკავშირებისა და მასში ახალი პირადობის მოწმობის მოთავსების შემდეგ, მომხმარებელი აჭერს ღილაკს „შესვლა" და უთითებს 4 ციფრიან პინკოდს.

პირველადი რეგისტრაციისას სისტემა მოითხოვს თქვენი მობილური ტელეფონის ნომრისა და ელ. ფოსტის მისამართის მითითებას. აღნიშნული მონაცემების შეცვლა ნებისმიერ დროს შეგიძლიათ პროფილის რედაქტირების ფუნქციის გამოყენებით.